უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა)

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თბილისი

2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: **ეკატერინე**

გვარი: **ფიფია**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	-
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	-
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	მოდულები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები); ფიზიკური აღზრდა და სპორტი; ქართული, როგორც მეორე ენა; ფრანგული ენა; გერმანული ენა; იტალიური ენა; რუსული ენა.
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით 0114
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
9	განხორციელების ადგილი[5]	ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 04.02.2025, №292796

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	04.02.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	04.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04.02.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		x		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა, რათა ნათლად გამოიკვეთოს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაში; (1.3)
2. რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა რათა გამოიკვეთოს პროგრამის შემადგენელი მოდულები (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული, საგნობრივი მეთოდიკის მოდული, სასკოლო პრაქტიკა); (1.4)
3. რეკომენდებულია, ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდიკის სწავლებისას ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გათვალისწინება; (1.5)
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების შეფასების კრიტერიუმები და დაშვების წინაპირობა კომპიუტერული უნარ-ჩვევების შემოწმების ნაწილში; (2.1)
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა და დაინერგოს პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი; (2.2)
6. პრაქტიკის კომპონენტის ეფექტური ორგანიზებისთვის რეკომენდებულია შემუშავდეს დეტალური პრაქტიკის გზამკვლევი შემდეგი კომპონენტებით: ვადები და ეტაპები, პრაქტიკის ობიექტების შერჩევის წესი, პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები, პრაქტიკანტთა განაწილების პრინციპები, ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები; (2.2)
7. რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას; (2.2)
8. რეკომენდებული პროგრამაში გამოიკვეთოს სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის; (2.3)
9. რეკომენდებულია, ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება და პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა; (2.4)
10. რეკომენდებულია, საკონსულტაციო საათებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ოფიციალური სახე; (3.1)
11. რეკომენდებულია, გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში, რომლებიც პროფესიული ნიშნით არჩეულ სხვა აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად იქნება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში ჩართული; (4.1)
12. რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური პერსონალი ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. (4.3)

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა პროგრამის განვითარების კუთხით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდმა **სრულად შეასრულა პირველი ათი რეკომენდაცია**. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევა:

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს სასწავლო კურსების საკონსულტაციო შეხვედრების ერთიანი ცხრილი.

მეთერთმეტე და მეთორმეტე რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით პროგრამაზე მომუშავე გუნდისთვის ძალაში დარჩა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად იმუშაოს და გაზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად ჩართოს პროგრამის აკადემიური პერსონალი სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

რჩევ(ებ)ი[8]

1.სასურველია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის უფრო მეტად გაძლიერება; (1.4)
2. სასურველია, შესაბამის სასწავლო კურსებში უფრო გამოიკვეთოს ენათა ფლობის დონეების სწავლება საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით; (1.5)
3. სასურველია, დაწესებულებამ სწავლის შედეგების სისტემური შემოწების მიზნებისთვის გამოიყენოს ციფრული პლატფორმა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ავტომატიზაციას, მონაცემების ეფექტურ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, შეფასების შედეგების უფრო სწრაფ და ზუსტ დამუშავებას; (1.3)
4. სასურველია, გადაიხედოს ,,სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი'' ტექნიკურად, რომელიც გაითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტთა, არამედ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა კონტინგენტის დათვლის მეთოდოლოგიას; (2.1)
5. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წამახალისებელი მექანიზმებით პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და რეგულარულად იმართებოდეს სამეცნიერო კონფერენციები, ვორქშოფები და სხვა პრაქტიკული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას; (2.2)

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

6. სასურველია, სტუდენტების უფრო მკაფიოდ ინფორმირება დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; (3.1)
7. სასურველია, განახლდეს პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მითითებით; (4.3)
8. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ასამაღლებლად და აკადემიური პერსონალი კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, სასურველია, უფრო მეტად გაძლიერდეს უნივერსიტეტში აფილირების პოლიტიკა აკადემიური პერსონალის კვლევითი მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერების კუთხით; (4.3)
9. სასურველია, სტუდენტების უფრო მკაფიო და ხშირი ინფორმირება უნივერსიტეტის ონლაინ ბიბლიოთეკის (ელ-კატალოგი, სამეცნიერო ბაზები და სხვ.) შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ; (4,4)
10. სასურველია, საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს დაემატოს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისათვის განკუთვნილი ელექტრონული სამეცნიერო ბაზა- jstor.org; (4.4)
11. სასურველია, უსდ-ს აღნიშნული პროგრამის ანალოგიებში წარმოდგენილი და გაანალიზებული ჰქონდეს უცხოური ქვეყნების მსგავსი პროგრამებიც; (5.3)
12. სასურველია, პერსონალის ხელმშეწყობ მექანიზმებში გააქტიურდეს პერსონალის მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცემებში მათი პუბლიკაციების გამოსაცემად, ვორქშოფესა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. (5.3)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია რჩევების შესრულების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება13	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა, რათა ნათლად გამოიკვეთოს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაში;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებამ პროგრამის აღწერილობით ნაწილში წარმოადგინა სწავლის შედეგების რუკა. რუკაში წარმოდგენილია პროგრამის ექვსი სავალდებულო სასწავლო კურსის შესაბამისობა პროგრამის შვიდ სწავლის შედეგთან გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების დონეების გათვალისწინებით. ამავე ნაწილში მოცემულია სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზების ნაწილი აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ორ მთავარ კომპონენტს- კურსსა და საგანმანათლებლო პროგრამას. შეფასება ტარდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ, შედეგები კი პროგრამის ხელმძღვანელს ეგზავნება შემდგომი რეაგირებისთვის. შეფასებისთვის გამოიყენება: დასკვნითი გამოცდა, კურსდამთავრებულთა თვითშეფასება (პრაქტიკის რეფლექსია), დიპლომის საშუალო ქულები და დასაქმების მაჩვენებლები.სამიზნე ნიშნულები ერთნაირია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებისთვის: სტუდენტების/კურსდამთავრებულების მინიმუმ 70%-მა უნდა მიაღწიოს 80 ან მეტ ქულას, 28%-მა -51-79 ქულას, და მხოლოდ 2% შეიძლება მოხვდეს 0-50 ქულის დიაპაზონში. იგივე სტანდარტი ვრცელდება

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასებაზეც.
რჩევა[15]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა რათა გამოიკვეთოს პროგრამის შემადგენელი მოდულები (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული, საგნობრივი მეთოდიკის მოდული, სასკოლო პრაქტიკა);
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა განაახლა პროგრამის სტრუქტურა. სასწავლო კურსები შინაარსისა და მიზნების მიხედვით დაიყო ჯგუფებად და გადანაწილდა სხვადასხვა მოდულში. განახლებული პროგრამა ორი ძირითადი მოდულისგან შედგება: პირველი მოდული- **პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური,** რომელიც აერთიანებს ყველა საგნობრივი მიმართულებისთვის საერთო სავალდებულო და არჩევით კურსებს. მეორე მოდული **-საგნობრივი მეთოდიკისა და პრაქტიკის,** რომელიც მოიცავს კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკას, რომელსაც თან ახლავს პრაქტიკული კომპონენტი.
რჩევა[17]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია III[18]	რეკომენდებულია, ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდიკის სწავლებისას ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გათვალისწინება;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკის სილაბუსი შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდმა მოახდინა ქართული ენის ფლობის დონეების სისტემური ინტეგრირება. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით აღნიშნული ცვლილება სამ მთავარ ამოცანას ემსახურება: სტუდენტებმა გაიაზრონ, თუ როგორ ვითარდება ენობრივი უნარები თანმიმდევრულად და საფეხურეობრივად; გამოიყენონ სწავლების ისეთი მიდგომები, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული; და გაიუმჯობესონ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასება იმ გარემოების გათვალისწინებით, სადაც სხვადასხვა დონის მოსწავლეები ერთად სწავლობენ.
რჩევა[19]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი სილაბუსი-ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია IV[20]	რეკომენდებულია, გადაიხედოს მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების შეფასების კრიტერიუმები და დაშვების წინაპირობა კომპიუტერული უნარ- ჩვევების შემოწმების ნაწილში;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა დახვეწა კომპიუტერული უნარ-ჩვევების შემოწმების კომპონენტი დაშვების წინაპირობის ნაწილში. ამ ჩანაწერის მიხედვით კომისია ამოწმებს აპლიკანტის ციფრულ კომპეტენციას- კანდიდატს გააჩნია საბაზისო კომპიუტერული უნარები:

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, ელექტრონული ფოსტის გამოყენება, ტექსტებთან, პრეზენტაციებთან და ცხრილებთან მუშაობა. გასწორებულია სპეციალურ მასწავლებელთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხიც.
რჩევა[21]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია V[22]	რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა და დაინერგოს პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა დახვეწა პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს პრაქტიკის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და განხორციელების ხარისხის მრავალმხრივ შეფასებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელიც ერთიანი სტანდარტის მიხედვითა არის აგებული. მისი საშუალებით სტუდენტები აფასებენ პრაქტიკის ხელმძღვანელის მუშაობას წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და გაზომვადი მაჩვენებლების გამოყენებით. კითხვარი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას: ხელმძღვანელის მიერ გაწეული პროფესიული დახმარება, ურთიერთობის ხარისხი და უკუკავშირი. რეკომენდაციის მეორე ნაწილი ეხებოდა პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმს. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ამ საანგარიშო პერიოდში, პრაქტიკულად დაინერგა პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი. დაწესებულებამ მტკიცებულებად

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	წარმოადგინა ორი პორტფოლიოს ნიმუში, რომელიც შემოწმებულია Strike Plagiarims-ის პროგრამაში.
რჩევა[23]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; კითხვარი; სასკოლო პრაქტიკის გზამკვლევი; შემოწმებული პორტფოლიოს ნიმუშები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI[24]	პრაქტიკის კომპონენტის ეფექტური ორგანიზებისთვის რეკომენდებულია შემუშავდეს დეტალური პრაქტიკის გზამკვლევი შემდეგი კომპონენტებით: ვადები და ეტაპები, პრაქტიკის ობიექტების შერჩევის წესი, პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები, პრაქტიკანტთა განაწილების პრინციპები, ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა შეიმუშავა პრაქტიკის კომპონენტის სახელმძღვანელო დოკუმენტი. სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი პრაქტიკის მთელი ციკლი: საორგანიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები, პრაქტიკის უშუალო წარმართვისა და კონტროლის მექანიზმები, შეფასებისა და უკუკავშირის ეტაპი. დოკუმენტში გაწერილია პრაქტიკის ბაზების შერჩევის პირობები და მოთხოვნები. შერჩევის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის თავსებადობა პროგრამის მიზნებთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან, დაწესებულების სანდოობა, ასევე სტუდენტებში პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი პირობების არსებობა. ამასთანავე, განსაზღვრულია პრაქტიკის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მოიცავს

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროფესიულ კვალიფიკაციას, პრაქტიკულ გამოცდილებას, მენტორობის უნარებს და სასწავლო პროცესთან თანამშრომლობის მზაობას. სტუდენტთა განაწილების საკითხი მოწესრიგებულია სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპებზე დაყრდნობით, რაც თითოეულ სტუდენტს უზრუნველყოფს მისი პოტენციალის შესაბამის გარემოში განვითარების შესაძლებლობით. სახელმძღვანელოში ასევე დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები: სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობის ზედამხედველობა, კონსულტაციების გაწევა, პროგრესის თვალყურის დევნება, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება და შეფასების პროცედურებში აქტიური მონაწილეობა.
რჩევა[25]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; სასკოლო პრაქტიკის გზამკვლევი;

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VII[26]	რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2025 წელს გაფორმებული 10 მემორანდუმი. მემორანდუმში მოცემულია პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. ერთ სკოლაში, ცალკეული საგნის ჭრილში, პრაქტიკანტთა რიცხვი არის 3. სკოლაში ერთდროულად მიმდინარე პრაქტიკის საერთო მოცულობა კი ყველა საგნის გათვალისწინებით არის ათი სტუდენტი.

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[27]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; მემორანდუმები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია VIII[28]	რეკომენდებულია პროგრამაში გამოიკვეთოს სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა პროგრამის აღწერილობაში ცალკე გამოყო სწავლა სწავლების მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის. სწავლა სწავლების მეთოდების ნაწილში გამოიკვეთა ლექცია, სემინარი, ასოციაციური რუკა, გონებრივი იერიში და კითხვა-პასუხი, ინდივიდუალიზებული ინსტრუქციები, დისკუსიები, სიმულაციები, შემთხვევათა ანალიზი, კეთებით სწავლება, როლური თამაში, შებრუნებული საკლასო ოთახი, პროექტზე/პრობლემაზე/ ადგილზე ორიენტირებული სწავლება (PBL), ელექტრონული პორტფოლიო, მოდელირება და სხვა.
რჩევა[29]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; პროგრამის აღწერილობა; 4 სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 სტუდენტების შეფასება

[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია IX[30]	რეკომენდებულია, ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება და პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებამ ჩაატარა პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი ლინკები, რომელიც იძებნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ამ საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა სამი საინფორმაციო შეხვედრა, ერთი სემინარი და ტრენინგი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი.
რჩევა[31]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი; უნივერსიტეტის ვებგვერდი.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია X[32]	რეკომენდებულია, საკონსულტაციო საათებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ოფიციალური სახე;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სილაბუსებში ცალკე გამოყო გრაფა, სადაც მოცემულია საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს სასწავლო კურსების საკონსულტაციო შეხვედრების ერთიანი ცხრილი.

[30]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[31]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[32]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[33]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; 4 სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XI[34]	რეკომენდებულია, გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში, რომლებიც პროფესიული ნიშნით არჩეულ სხვა აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად იქნება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში ჩართული;
შეფასება	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** ამ საანგარიშო პერიოდში მოხდა მხოლოდ ერთი დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის აყვანა. პროგრამას შემოემატა ერთი აფილირებული ასოცირებული პროფესორი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად იმუშაოს და გაზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში.
რჩევა[35]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; პერსონალის რეზიუმე; გამოცხადებული ვაკანსია- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

[33]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[34]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[35]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია XII[36]	რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური პერსონალი ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.
შეფასება	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** თვითშეფასების დოკუმენტში მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ამ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები არის აღწერილი, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი. თუმცა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობა არ განსაზღვრავს პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობას. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა და ჩართოს პროგრამის აკადემიური პერსონალი სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.
რჩევა[37]	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	თვითშეფასების დოკუმენტი; პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე.

თანდართული დოკუმენტაცია[38]

ექსპერტის ხელმოწერა

[36]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[37]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[38]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა